

შპს ჯი თი ეს ელექტრონიკსი

ს/ნ 205029351

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგება

1.	ძირითადი საქმიანობა.....	3
2.	ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	3
3.	ფული და ფულის ექვივალენტები	6
4.	საფაქრო და სხვა მოთხოვნები.....	6
5.	სასაქონლო მატერიალური მარაგები	7
6.	საფაქრო და სხვა ვალდებულებები.....	7
7.	საგადასახადო ვალდებულებები.....	8
8.	სესხები.....	9
9.	შემოსავალი	9
10.	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9
11.	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9
12.	სხვა შემოსულობა/ზარალი	9
13.	კაპიტალი	9
14.	სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	9

შპს ჯი თი ეს ელექტრონიქსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ჯი თი ეს ელექტრონიქსი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2004 წლის 13 მაისს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით

	2018 წელი	2017 წელი
ქეთევან ჯილაური	25%	25%
მზია მურთაზაშვილი	25%	25%
დავით ქოჩიაშვილი	50%	50%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამრეწველო ტექნიკის და სხვა ელექტრონული მოწყობილობების შეძენა, წარმოება, მონტაჟი და რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას. 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს. არსებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის პირველი, რომელიც კომპანიამ მოამზადა.

შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2018 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2017 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად. ამანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც კომპანიისთვის წარმოადგენს მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიის მოგებამ 2018 წელს შეადგინა 563504 ლარი. 2018 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი როგორც მოკლევადიანი აქტივები, ასევე მოკლევადიანი ვალდებულებები. კომპანიის აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება ვალდებულებების რაოდენობას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და შეუძლია საქმიანობის გაგრძელება.

ამონაგების აღიარება

ამონაგების საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის აღრე არსებული მოდელი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას უწევს მოგების გადასახადის გადახდა, როცა მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ბარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შეძენის გადასახდების და სხვა პირდაპირ

მიკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	35 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	10-15 წელი
კომპიუტერული და ელექტრონული მოწყობილობები	3-15 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (განგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითად ნაწილი კომპანიის მიერ შეძენილი ლიცენზიები და საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფაა, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ამ შემთხვევაში თვითღირებულებით, ვინაიდან სარეალიზაციო ღირებულება გათვლილია მოგების მიღების მიზნით. თვითღირებულების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია დიდი რაოდენობით დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
ფული და ფულის ექვივალენტები	270 541	239 861
სულ	270 541	239 861

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
--	------------------------	------------------------

სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	367 297	493 680
მოთხოვნები საქვეანგარიშო თანხებიდან	248 150	89 213
გადახდილი ავანსები	162 670	36 608
სულ	778 117	619 501

მოკლევადიანი მოთხოვნები გაზრდილია 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომწოდებლებზე გაცემული ავანსებისა და საქვეანგარიშო თანხების ხარჯზე.

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1 589 354	1 006 045
სულ	1 589 354	1,006,045

მარაგების რაოდენობა 2018 წელს გაიზარდა 58%-ით, ახალი იმპორტირებული საქონლის შეძენისა და ასორტიმენტის გაზრდის ხარჯზე.

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
სავაჭრო ვალდებულებები	750 833	620 380

მიღებული ავანსები	538 560	245 748
მოკლევადიანი სესხები	107 064	103 688
გრძელვადიანი სესხები	863 276	678 863
დარიცხული ვალდებულებები	160 625	214 014
სულ	2 420 358	1 862 692

2018 წელს შემცირდა დარიცხული გადასახდელი დივიდენდები, ვინაიდან 2018 წელს განხორციელდა წინა წლების გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდების გადახდა.

7. საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
საგადასახადო ვალდებულებები	-113 098	9048
სულ	-113 098	9048

8. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალის უდიდესი ნაწილი შედგება საწარმოო მნიშვნელობის ელექტროტექნიკის გაყიდვიდან მიღებული თანხებიდან. გარდა ამისა კომპანიას გააჩნია შემოსავლები ტექნიკური

მონყობილობების რემონტის და მონტაჟის მომსახურებიდან.

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს, თანამშრომელზე გაცემულ ხელფასებსა და ტრანსპორტირების ხარჯებს.

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების უდიდესი ნაწილი უკავშირდება გაცემულ შრომით ანაზღაურებას. ვინაიდან ძირითად სასაქონლო-მატერიალურ მარაგს წარმოადგენს იმპორტირებული საქონელი, ხარჯებში დომინირებს მივლინებისა და კომუნიკაციის ხარჯები. მნიშვნელოვანია ოფისის მომსახურებისა და დაცვის უზრუნველყოფის ხარჯები.

11. სხვა შემოსულობა/ზარალი

2017 და 2018 საანგარიშგებო წლებში კომპანია იყო მომგებიანი.

12. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწყისი საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.


13. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დ. ქოჩიაშვილი

მთავარი ბუღალტერი ლ. სმოტროვა



თბილისი, საქართველო

10 თებერვალი 2020 წელი

შპს "ჯიტიეს ელექტრონიკსი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018წ

	აქტივები	2 018	2 017
	მიმდინარე აქტივები	-	-
1100	ნაღდი ფული სალაროში	209 054	54 857
1200	ფული საბანკო ანგარიშებზე	61 487	185 004
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურები	367 297	493 680
1430	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	248 150	89 213
3300	საგადასახადო ვალდებულებები	112 425	
1480	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	162 670	36 608
1485 1	მოსაკრებელი	673	1 478
	სულ მიმდინარე აქტივები	1161 756	860 840
	სასაქონლო მატერიალური მარაგი	-	-
1610	საქონელი	1221 904	713 814
1620	ნედლეული და მასალები	364 480	285 964
1621	საოფისე მასალები და ინვენტარი	2 970	6 268
	სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	1589 354	1006 045
	გრძელვადიანი აქტივები	-	-
2110	მიწის ნაკვეთები	286 450	286 450
2130	შენობები	112 937	118 676
2150	მანქანა-დანადგარები	81 874	156 345
2160	ოფისის აღჭურვილობა	62 256	65 759
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი	2 379	3 512
2180	სატრანსპორტო საშუალებები	21 428	17 708
2500	არამატერიალური აქტივები	2 193	2 908
	სულ გრძელვადიანი აქტივები	569 517	651 358
	სულ აქტივები	3320 627	2518 243
	კაპიტალი და ვალდებულებები		
	მიმდინარე ვალდებულებები	-	-
3110	მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	750 833	620 380
3120	მიღებული ავანსები	538 560	245 748
3210	მოკლევადიანი სესხები	970 340	782 551
3300	საგადასახადო ვალდებულებები		10 526
3420	გადასახდელი დივიდენდები	160 625	214 013
	სულ მიმდინარე ვალდებულებები	2420 358	1873 218
	საკუთარი კაპიტალი	-	-
5100	საწესდებო კაპიტალი	2 000	2 000
5310	გაუნაწილებელი მოგება	898 269	643 025
	სულ საკუთარი კაპიტალი	900 269	645 025
	სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3320 627	2518 243

შპს "ჯითიეს ელექტრონიკსი"
მოგება-ზარალი 2018წ

საოპერაციო შემოსავლები	4533 447
რეალიზ.საქონლის თვითღირებულება	- 2844 189
საწარმოო ხარჯები	- 448 117
მოგება საქმიანობიდან	1241 141
მიწოდების ხარჯები	- 69 681
ადმინისტრაციული ხარჯები	- 550 828
საოპერაციო მოგება	620 632
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5 919
საპროცენტო ხარჯები	- 56 247
საქველმოქმედო ხარჯი	- 1 697
საკუროსო სხვაობა	23 524
კონვერტაციის სხვაობა	- 13 554
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	- 15 073
არასაოპერაციო მოგება (ზარალი)	- 57 128
წმინდა მოგება	563 504
მოგების გადასახადი	- 56 260
სულ მიმდინარე გაუნაწილებელი მოგება	507 244

მთ ბუღალტერი



ლ სმოტროვა